საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდახუთი წლის ცამეტ ოქტომბერს, მე, ნოტარიუს ლალი გზირიშვილს, სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. 23, ბ. 47, მომმართა **მალხაზ ქვრივიშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს ,,ბბმ''-ს (ს/ნ**405238452**) დირექტორი და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მალხაზ ქვრივიშვილმა** (დაბადებული 13.08.1963 წ. თბილისში რეგ თბილისი სატივეს ქ. N 4/17 ბლოკი 3-4 ბ. 8, პირადი #01008005125, პ/ნ23IB87081იუსტიციის სამინისტროს მიერ 22.02.2024წ მოქმედების ვადა -22.02.2034წ) მომმართა. შემდეგ შევამოწმე **მალხაზ ქვრივიშვილის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი უფლებამოსილია იმოქმედოს როგორც შპს ბბმ-ს დირექტორმა, თანახმად შპს ,,ბბმ'' -ს წესდებისა, (დამოწმებული 10.11.2017 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ) შპს ,,ბბმ'' -ს (ს/ნ405238452, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 10/11/2017 იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველასგამზირის V კვარტ., კორპ. 1, ბ. 24) სახელზე საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24007988, 25/01/2024 11:52:19; მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე **მალხაზ ქვრივიშვილის** ნების გამოვლენის ნამდვილობა რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, მალხაზ ქვრივიშვილი(პ/ნ01008005125) როგორც შპს ,,ბბმ''- ის (ს/ნ405238452) დირექტორი, ვენდობი, **ილია სუჯაშვილს** (დაბადებული 07.01.1984წ რეგ. თბილისი კახა ტორჩინავას ქ. N 4 ბ. 10,პირადი #01019017859) მასზედ, რათა იგი იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივ თვითმართველ ორგანეობში, სსიპ ქალაქ თბილისის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, სსიპ ქალაქ დაგეგმარების სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, გამწვანების სამსახურში, ნებისმიერი კომუნალური მომსახურების სამსახურებთან, მათ შორის თბილისი ენერჯისთან, ჯორჯია ოუთერ ენდ ფაუერთან, დასუფთავების სამსახურთან, თელასთან თელმიკოსთან, ნებისმიერი ორგანიზაციის არქივში, აღიარების კომისიაში, სანოტარო ბიუროში, ქონების მართვის სააგენტოში, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ ურთიერთობაში, რაც დაკავშირებულია შპს ,,ბბმ''- ის (ს/ნ405238452) უძრავ ქონებაზე მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 49ა (ს/კ#01.81.02.327.019) მშენებლობასთან. აწარმოოს ყველა საჭირო ქმედება კომპეტენტურ ორგანოებში, მონაწილეობა მიიღოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებში, მიიღოს მშენებლობის ნებართვები, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, წარადგინოს შესაბამისი განცხადებები, თანხმობები ცნობები, დოკუმენტები, ფოტომონტაჟი, აზომვითი ნახაზი (მათ შორის ელექტრონული ვერსია) მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოახდინოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია, ფართის დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, კონფიგურაცია/კატეგორიის ცვლილება, ზონის ცვლილება, ასევე მოახდინოს გაზის გაზიფიცირება, ელექტროენერგიის შეყვანა, მრიცხველების დამონტაჟება, წყლის დამონტაჟება და სხვა ნებისმიერ კომუნიკაციასთან დაკავშირებული მოქმედება, გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს და აღმოფხვრას ყოველგვარი ხარვეზი, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.
მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით, ძალაშია 2027 (ორი ათას ოცდაშვიდი) წლის 11 (თერთმეტი) ოქტომბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან სამი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება ნოტარიუს ლალი გზირიშვილის სანოტარო არქივში, და თან ერთვის დანართ 1 (ერთი) დოკუმენტი: შპს ,,ბბმ'' -ს სახელზე გაცემული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24007988, 25/01/2024 11:52:19 ხოლო შპს ,,ბბმ'' -ს წესდება (დამოწმებული 10.11.2017 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ) გადამოწმებულია ჩემთვის ხელმისაწვდომი გადამოწმებულია ჩემთვის ხელმისაწვდომი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ხელმისაწვდომი დოკუმენტის დასკანირებული ვერსიაში. გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა 30 (ოცდაათი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა დ.ღ.გ 18% 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი), საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა 5(ხუთი) ლარი, სულ 40 (ორმოცი) ლარი და 40 (ორმოცი) თეთრი.

მიმნდობი პირი: _____

ნოტარიუსი ლალი გზირიშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86746167830925

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251396015

რეგისტრაციის თარიღი

13.10.2025 წ

ნოტარიუსი: ლალი გზირიშვილი
მისამართი: თბილისი, პეკინის გამზირი 23. ბინა 47
ტელეფონი: 236 99 99

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18